№ 67 მარტი 25, სამშაბათი 1886 მარტი 25, სამშაბათი № 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

დღესასწაულის გამო ხვალ გაზეთი არ გამოვა.

ტფილისი, 24 მარტს

ამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარმა ორი დიდი საქმე წამოაყენა ფეხზედ. ერთიც და მეორეც იმისთანანი არიან, რომ ევროპის პოლიტიკურს და ეკონომიურს წყობას ძველს საძირკველს ურყევენ და საჭიროდ ჰხადიან ძველის სანაცვლოდ ახალის ჩადგმას. მიზეზნი ამა ორის დიდის საქმისანი ძველად-ძველნი არიან, დიდი ხანია მოქმედობდნენ და ევროპის წინ-მსვლელობას თავის ბეჭედს ზედ აჭდევდნენ, მაგრამ ამ მეორე ნახევარმა ჩვენის საუკუნისამ ეს არ იკმარა. იგი ორი საქმე დღეს იმოდენად მოიწია, იმოდენად მომწიფდა, იმოდენად საყურადღებოდ წამოდგა, რომ გადაჭრილს, გადაწყვეტილს სიტყვას თხოულობს და არა მიკერ-მოკერებასა, არა ტყუილ-უბრალოდ აბლანდვასა, გულის მოსათხნად, როგორც აქამომდე იყო.

1852 წლის შემდეგ ნაპოლეონ III თაოსნობით პოლიტიკაში წამოიწია ეგრედ წოდებულმა ეროვნობამ, «ნაციონალობამ», გვარტომობამ ერისამ. ეს ნაციონალობა ზოგან ძლევით შეიმოსა: იტალიაში იტალია გაერთა, გერმანიაში—გერმანია და ამ სახით დაქსაქსულ ერს ერთის გვარტომისას ერთად მოუყარა თავი თავ-თავის ადგილს. ეს იტალიასა და გერმანიისათვის უფრო ადვილი იყო, რადგანაც ამათში ან სულ არ ურევიან სხვა ტომის ხალხნი, ან თუ ურევიან იმოდენად ცოტანი არიან, რომ გაერთების საქმეს წინ ვერ გადეღობებოდნენ. სულ სხვა ამბავი დაემართა ავსტრიას, საცა ნემენცებიც არიან, ვენგრებიც და სლავიანებიც, რომელნიც ცალ-ცალკე იმოდენად ღონიერნი არიან, რომ ერთი მეორეს ადვილად წინ ვერ წაუვა, ადვილად არ უთმობს უპირატესობას ეროვნობისას.

ვიდრე ავსტრია გერმანიაში ბძანებლობდა და პრუსია, ყოველთვის შურით მაყურებელი ამისა, უღონო იყო ეს ბძანებლობა ჩამოერთმია თავის დაუძინებელ სურვილისამებრ, ავსტრიაში ჰბატონობდნენ მარტო ნემენცები და უპირატესობა ეროვნობისა ხელთ ეპყრათ. სხვათა დანარჩენთა შორის ვენგრია, როგორც უფრო გამოღვიძებული, საპოლიტიკო მოქმედებისათვის უფრო მომწიფებული, ვიდრე სლავიანები, ცდილობდა თავის ეროვნობის უპირატესობისა და დაცვისათვის, სცდილობდა არ დაჩაგრულიყო ნემენცთა ბატონობისაგან. ძლიერი კულტურა ნემენცებისა, რიცხვით სიმრავლე მათი, მათი პოლიტიკური ბძანებლობა სახელმწიფოში სახუმარი საქმე არ იყო ვენგრებისათვის. ყოველი ეს დიდს შიშს, დიდს შიშის ზარს უქადიდა ვენგერთა ეროვნობას. უშველა ღმერთმა ვენგერებს და ავსტრია ბისმარკის ძლიერმა ხელმა გამოაძია გერმანიიდამ. ავსტრიის სვე-ბედის ჭკვიანთა გამგეთ მაშინვე იგრძნეს, რომ ღონის სასწორის უღელი ვენგერებისაკენ გადიხარა და ვენგერებს მიანიჭეს სახელმწიფოში ყოველივე ის უფლება, რომელზედაც გულ-უშიშრად შესაძლოა დაენდოს ვენგრია.

მინამ ეს ასე მოხდებოდა, ავსტრიის სლავიანებმაც გააღვიძეს თავისი ისტორია, მოიგონეს დიდებულნი დრონი წარსულისა; ამ ნიადაგზედ ამოაყვავეს თავისი სლავიანობა... დ აი დღეს ჩეხების წინამძღვრობით ავსტრიის სლავიანები ეპირის-პირებიან ნემენცებს და ვენგერებს და ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოში თვისის ეროვნობისათვის თანასწორ ადგილს მთავრობისაგან თხოულობენ. ავსტრიამ არც აქ მოიყრუვა ყური. ცხადი ნიშნებია, რომ ავსტრიის საპოლიტიკო კაცნი, სრულებითაც არ ჰთაკილობენ და არ უფრთხიან ამ გვარს მოძრაობას სლავიანებისას... რადგანაც სლავიანებს ერთი თვალი რუსეთისკენ უჭირავს... პირ-იქით, თითქო თანაუგრძობენ კიდეც, რადგანაც თვალ-წინ ცხადი მაგალითი აქვთ — ვენგრია, რომელსაც თუმცა სრული უფლება ეროვნებისა და თვითმართველობისა მიანიჭეს, ამით სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას არამც თუ დააკლდა რამე, უფრო მოემატა... იქნება შორს არ არის ის დრო, როცა ავსტრო-ვენგრია, ეხლა ორ-გვამოვანი, სამ-გვამოვანად გადაიქცეს და ავსტრო-ვენგრერთ -- სლავიანთა სახელმწიფოდ შეიქმნას.

იმავ მოძღვრებას მისდევს დიდი გლადსტონიცა ირლანდიის შესახებ, რაც ავსტრიამ უკვე განახორციელა ვენგერების კონსტიტუციით და მით დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვა-და-სხვა გვარ-ტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარტომობამ შეჰხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ—ინტერესები გვარტომობისა. თუ გლადსტონმა თვისი პროექტი გაიყვანა პარლამენტში და ინგლისი დაიყოლია, ეგ მეორე მაგალითი იქნება მისი, რაც ავსტრო-ვენგრიამ უკვე დაანახვა ქვეყანას... ამბობენ, გლადსტონი შოტლანდიის შესახებაც ამასვე ჰფიქრობს. თუ ამ ხნით ძლიერ დაბერებულმა, გულით და მხნეობით-კი ჭაბუკზედ უფრო ჭაბუკმა მოხუცმა თავისი გაიყვანა, განცვიფრებულს ევროპას და ისტორიას ძველის-მოყვარე ინგლისი წარმოუდგენს ერთს იმისთანა დიდ საქმეთაგანს, რომელიც გაცობრიობას თავის დღეში მუქთად არა ჰრგებია....

აი იგი საქმე, რომელიც პოლიტიკურს წყობას ევროპისას შეეხება. ხოლო ეკონომიურს წყობაზედ მერე მოვილაპარაკებთ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო.

ი.

ახალი ამბავი

⁂ მთავარ-მმართებლის შუამავლობა იმაზედ, რომ ამ წელს პრიკაზს 196,600 მან. მიეცეს პრიკაზის ხარჯის გასაძლოლად ფინანსთა სამინისტროსაგან საბუთიანად მიღებულ და შეწყნარებულ იქმნა. ამ აზრით სახელმწიფო რჩევაში საჭირო წინადადება შეტანილია და ამას გარდა პროექტია შემდგარი, რომ პრიკაზსვე მიეცეს 14,000 მან. უიმედო ვალების გასასტუმრებლად, ხოლო უნდა ადრევე გამოირკვეს, სულ რამდენი ვალი ირიცხება პრიკაზზე. (გაზ. «Нов. Обоз.»)

⁂ გაზ. «Терск. Вѣд.» სიტყვით, ბესლანზედ (ვლადიკავკასის რკინის გზის სადგურია) მყოფ მოსამსახურეთ სამი ღამე ზედა-ზედ ავაზაკები დასცემიან გასაცარცვავად, მაგრამ, საბედნიეროდ, დროზე გაუგიათ და გაუფრთხიათ. 19 მარტს ავაზაკების დაცემის დროს დაუჭრიათ ერთი სადგურის მოსამსახურეთაგანი და ავაზაკების მხრითაც ერთი დაჭრილა და ავაზაკებს თან წაუყვანიათ.

⁂ აი ერთი ამბავი ჩვენის პატარა ჯიბგირების ნამოქმედართაგანი: 19 მარტს, გორის მაზრის გლეხს, რომელიც ტფილისში რაღაცა საქმეებისათვის ჩამოსულიყო, თავის შესაფერად ბევრი ფული ჰქონია ჯიბეში, სახელდობრ 33 მან. 25 კაპ. ეს გლეხი გაივლის თურმე აქიმოვის ქუჩაზედ და დაინახავს, რომ მიწაზედ ერთი

ფელეტონი

გმირისეულის ქალი

(მოთხრობა)

(გაგრძელება*)

IV

მთელი ხეობა, ქალი და კაცი, თავადი და გლეხი, გასაოცარს მოჰყვანდა გმირისეულის მართლა და გმირულს აგებულებას: გოლიათის სიმაღლესა და სისრულესთან ძალ-ღონეც მოსდევდა; თეძოები ისე გადგმული ჰქონდა, რომ კაცს თამამად შეეძლო ზედ ჩამოჯდომა; მის ძუძუმკერდზედ ბავშვი მოთავსდებოდა. ამ გასაოცარის ახოვანების მიხედვით ბატონებს იმისთვის სახელად ეწოდებინათ «გმირისეული». თუმცა მისი ნათლობის სახელი იყო დოდო, მაგრამ ეს სახელი არავინ იცოდა, გარდა იმ წიგნისა, რომელშიაც ეს სახელი ჩასწერეს. როდესაც ის პირველად ბატონის სახლში მიიყვანეს, ქალბატონმა მაშინვე შეამჩნია გულ-მკერდზედ, რომ ეს გოგო თავის დროზედ გამდლობას გვარიანად შეასრულებდა; ბატონს პირ-წყალი მოსვლოდა, მსუნაგობა აღძერიყო და გულში ამ ახალს მსახიობას თავისის სახლისას სხვა «როლი» დაუნიშნა. როდესაც შეიქმნა თორმეტ-ცამეტის წლისა, მას ჩაჰბარდა ბავშვების ლალაობა და გამდლობა. ამანაც იკისრა. ჩააბარეს ხუთის წლის ბატონი-შვილი დათა, რომელსაც თან დასდევდა, ართობდა, ათამაშებდა, უალერსებდა, უზდიდა ქვეყანას ერთით მეტს კაცსა. მალე გამოიჩინა მან სახლში ფხა და გამჭრიახობა; ბატონების ნდობა დაიმსახურა; იმის სიტყვას ფასი და ყადრი ჰქონდა; დიდმა ბატონმაც წყალობა დაუწყო, ასე რომ ქალ-ბატონზე მეტი გაუვიდოდა სახლში. გმირისეულს თან-და-თან სილამაზე, აეროვნება და ახოვანება ემატებოდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, ვითომ გმირისეულმა ორჯელაც შეჰმატა ქვეყანას უსარგებლო შემატებაო. ღვთის წინაშე, ეს კი იყო, რომ იმერელ მებაღეს ერთს ღამეს გმირისეულზედ ჯვარი გადასწერეს და ბევრს ღვთისა და ბატონის წყალობას დაჰპირდნენ. მაგრამ ბატონის მებაღემ, ეშმაკმა იმერელმა, თავისი ძალად მაცხონე სატრფო, გმირისეული, მალე მიატოვა და სადღაც გადაიხვეწა, ისე რომ მისი ასავალ-დასავალი ველარ მიაგნეს. შემდგომ რამოდენისამე თთვისა, ახლა კი გამოცხადებით, გაჩნდა ქვეყანაზედ გმირისეულისაგან ქალი სალომე. სალომე მონათლეს და ასე ჩასწერა მოძღვარმა დაბადებულთა წიგნში: დაიბადა სალომე; მშობლები: კაცია იუსტინეს-ძე ერაძე, და სჯულიერი ცოლი მისი დოდო (იგივე გმირისეული) პავლეს ასული; ორნივ მართლმადიდებელთა აღსარებისანი».

გმირისეულის სალომე, ჩვენგან უკვე ნახსენები, იზრდებოდა ბატონიანთ სახლში პატარა ბატონი-შვილებთან. ზღაპრად რომ იტყვიან—ვინც დღით იზრდებოდა, ის თთვითაო, — სწორედ სალომეზე იყო ნათქვამი. გაიზარდა, გაივსო სისხლ-ხორცით, გაიბადრა მაისის ვარდისაებრ; სიბრგე და ახოვანება დედისა გამოჰყვა; ელ-ფერი, სინაზე და სინარნარე მამისა. სალომეს ლურჯი, ციაგი, ცისფერი თვალები მნახველებს აგიჟებდნენ; მისი სხივები მაცქერლის გულში ჩაიჭვრიტებოდნენ; საიდუმლოთა ფარდას ხსნიდნენ და კითხულობდნენ გულის ნადებს და პასუხებს. ამისთანა თვალებზე იტყვიან ქართველები, რომ ზღვაში ნევსსაც არ გაუშვებს დაუნახავსაო. რასაც მისი ტოლი «კნიაჟნა ვარინკა» იცვამდა, სალომეც იმისთანას. ბატონი და ქალ-ბატონი თავის ერთად-ერთს ქალში არ არჩევდნენ. ასე გასინჯეთ, სალომე კაციევნასაც კი უძახდნენ.

როცა გმირისეულს სალომე მიეცა, ის კარგად დადედა-კაცებული იყო. «საწყალი იმერელი დაიღუპაო, ბებერი შეირთოვო», ამბობდნენ გლეხები კაციაზე. გმირისეული ამ ჟამად, თუმცა ორმოც-და-ათს წელსაც გადააბიჯა, მაგრამ ძალიან ჯავარზე კია ისევა. ისევ ისე ფათურობს, დაუღალავად შრომობს, მთელი ბატონის სახლი მის კისერზედაა; ამიტომაც იგი ძლიერ უყვართ. როგორაც ვთქვით, ძლიერ ნდობა აქვს; იქნამდინ დაიმსახურა მთელი ოჯახის ყურადღება, რომ უიმისოდ ნაბიჯს არ იზამდნენ არა საქმეში. თუ გმირისეულს არ იამებოდა სტუმარი, არც ბატონებს იამებოდათ; თუ გმირისეული კარგს გუნებაზე იყო და მარჯვენა ფეხით ამდგარი, ყველას სიხარულით და სიამოვნებით მიიღებდა, თუ გინდ ღირსიც არ ყოფილიყო, მაშინ ბატონებიც ისე დახვდებოდნენ. როგორს ტანისამოსსაც იგი აურჩევდა, ქალბატონს ის უნდა ჩაეცვა, ეკკლესიაში მიმავალს ქალბატონს დააბრუნებდა, ბაღდადს მოხდიდა: ეგ არ გიხდება და სხვა დაიხურეო. ბევრჯელ დღეში სამჯერ-ოთხჯერ გაახდევინებდა და ჩააცმევდა ტანთ-საცმელს. ერთის სიტყვით, იგი სრული მეუფე იყო ოჯახისა. რაკი ქალი მიეცა და საკუთარი საზრუნველიც გაუჩნდა, გმირისეულმა შინაური პოლიტიკა შესცვალა: ბატონის სარჩო-საბადებელს ბოლოს აკვეცდა თავისათვის, ასე რომ ის ყოველისფრით ჩაიკუჭნა; ყველა სალქველი მოიპოვებოდა მის ზანდუკებში. როდესაც გული ისრულა, ფულიც სამყოფი შეინახა, გამოსთხოვა ნაამაგარს ბატონებს სახლ-კარის ადგილი. ბატონმაც დიდის სიამოვნებით დაუთმო მშვენიერს ალაგს სახლის ადგილი. ამ ადგილს უკან ჰქონდა ტევრი ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა, რომლებიც სოფლის მიდამოზედ ჰფენდნენ საკმლის სუნნელებას, აზავებდნენ ჰაერს კეთილ

---

*) იხილე «ივერია», № 63 და 64.

ქისა გდია, რომელსაც მაშინათვე დასწვდება და აიღებს. საიდგანღაც გამოუჩნდებიან ორი კაცი: «აბა, ჩვენც გაგვიყავი, სამ წილად უნდა გაიყოსო!» გლეხი, რა ჩარა ჰქონდა, დასთანხმდა და სამივენი ერთად მტკვრის პირზედ წავიდნენ. ქისაში მხოლოდ რამდენიმე ფურცელი საწერის ქაღალდისა აღმოჩნდა. აშკარა იყო, რომ ეს ქისა მახეთ იყო დაგდებული. როდესაც გლეხი დარწმუნდა, რომ ქისაში არა ყოფილა-რა, გაქცევა მოიწადინა, მაგრამ იმ ორმა კაცმა შეჰკრეს და ჯიბიდამ ფულები ამოაცალეს. როდესაც ფულები ამოაცალეს, თითონ გაიქცნენ და საბრალო გლეხი კი შეკრული დასტოვეს წყლის ნაპირას. ამ მდგომარეობაში გდებული იყო კარგა ხანს საბრალო, ვიდრე რომელიღაც მეთულუხჩეს არ განენთავისუფლებინა. (გაზ. «Кавк.»)

⁂ იმავე გაზეთსა სწერენ ბათუმიდამ, რომ იქაურს მმართველობას განუზრახავს და უკვე შესდგომია ქალაქის ბაღის გაშენებას «ნურიის» ტბასთან. გეგმა ბაღისა მშვენივრად არის შედგენილი. თვით ტბის გარეშემო უნდა გაკეთდეს გზა-ტკეცილი, ეტლების სასიარულოდ. ამ სახით მშვენიერი სასეირნო ექნებათ ბათუმელებს და უეჭველია ბათუმელებს ქალაქის ცხოვრებას უფრო სასიამოვნოდ გახდის.

⁂ ჩვენშიაც — კავკასიაშიაც ყოფილან და ჩვენცა გვყოლია ჩვენი პასტერები, რომელნიც, თუ გაზ. «ნორ-დარს» დავერწმუნებით, განთქმულს ფრანგზედ ნაკლებ არ არჩენენ დაცოფილებს. ერთი იმათგანი, ვილაცა ბანიანცი დიდი ხანია ამ ავად-მყოფობას სწამლობს თურმე გორის მაზრაში და ყოველს წელს ათობითა და ოცობით არჩენს; მეორე ბადალიანცი, ტფილისის მაზრის, სოფ. დურნუკის მღვდელია. ამ მღვდელს ახალი საშუალება აღმოუჩენია, რომელიც მეტად ჩქარად და სწრაფულად მოქმედობსო. ო. ბადალიანცი, როგორც ჩანს ხსენებულს გაზეთში დაბეჭდილ წერილიდგან, მუქთად ჰპირდება მორჩენას, ვინც კი ხსენებულის სენით არის ავად.

⁂ 23 მარტს პოლიციის მე-8 განყოფილებაში სპარსი ალი-კული ფეხის ალაგის ორმოს გაწმენდის დროს შიგ ჩამხჩვალა ავის სუნისაგან. მკვდარის გვამი ანატომიურს კაბინეთშია გაგზავნილი.

⁂ ამ 24 მარტის ღამეს ავლაბარში ქუჩაზედ მიმავალის ტფილისის მოქალაქის გრიგოლ კირაკოზოვისათვის ვილაცა უცნობ კაცებს ვერცხლის ქამარი წაურთმევიათ.

⁂ 23 მარტს, პოლიციის 6 განყოფილებაში უეცრივ გარდაიცვალა ქვრივი კოლლეჟსკის სოვეტნიკისა სალომე გაბრიელის ასული ყორღანოვისა.

⁂ 23 მარტს, 5 განყოფილებაში თავად მუხრან-ბატონის სახლებში უეცრივ გარდაიცვალა სტავროპოლის გუბერნიის, ალექსანდროვსკის მაზრის, სოფ. პადგორნოეს გლეხი ოსიფ იურის ძე მისლიკი, 59 წლისა. გამოძიება ჰსწარმოებს.

⁂ 23 მარტს, 3 განყოფილებაში, იარმუკაზე პოლიციის მოხელეებს ექიმ ზახუტოვის თანდასწრებით ივანე კიკნაძის თევზის დუქანში აღმოუჩენიათ ორ ფუთამდე ხმელი თევზი, რომელიც ისე წამხდარი ყოფილა და მაშასადამე მავნებელიც, რომ მაშინვე გადუყრიათ.

—

კნ. ნ. ორბელიანისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისი სახელი ყოფილა გამოცხადებული ბ-ნის ვლ. მესხიევ-ს კონცერტის აფიშაში, მისდა დაუკითხველად. «მე ნება არ მიმიცია და არ ვიცი კი რად გამომაცხადესო კონცერტში მონაწილედ. მე რომ სიტყვა მიმეცა, უთუოდ კიდეც შევასრულებდი ჩემს სიტყვასაცაო და ჩემდა უნებურად ჩემის სახელის გამოცხადების ნება კი გგონებ არავის არა ჰქონდაო.

ნაკვესი

ერთმა დიდმა თავადიშვილმა დააპირა უშველებელის არხის გამოყვანა მიწების სარწყავად. წყალს რამდენსამე სოფელზედ უნდა ჩამოევლო და ამის გამო ამ სოფლების გლეხ-კაცობას მალიან უხაროდა წყლის გამოყვანა, რადგანაც ამ სოფლებში მალიან გოლვა იცის. ხოლო საქმე მეტად გვიანდებოდა და არამც თუ ბოლო, დაწყებაც დღევანდლამდე არსად უჩანს. თავადიშვილს მალიან უყვარდა ამ საგანზედ ლაპარაკი და ვისაც კი შეხვდებოდა, ისე არ გაუშვებდა, რომ სხვათა შორის ამ საგანზედაც ლაპარაკი არ ჩამოეგდო. ერთხელ გლეხ-კაცი რაღაც საქმისათვის სწვევოდა და თავადიშვილს ჩვეულებისამებრ ეთქვა:

— ჰა, რას იტყვი, ამ თქვენს დამწვარს მინდვრებს რომ წყალი მოგასხვედროთ?

— ღვთის წყალობა თქვენ გქონდეთ, კარგი ეგ იქნებაო, მაგრამ აი რამდენი ხანია ველოდებით და არ იქნა ვერ მოგვსწრითო. უპასუხა გლეხმა.

— ღმერთი მოწყალეა, როცა იქნება, გავაკეთებთ.

— ეჰ, ბატონო!.. როგორც ვატყობ, თქვენს სულ-გრძელობას ჩვენი დღე-გრძელობაც სდომებიაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სვანეთი. 20 მარტს. ამ წლის თებერვლის 24, 25 და 26-ს ერთი საცოდაობა მოხდა თავისუფალს სვანეთში: მგელმა — ალბად ცოფიანმა — შვიდი კაცი დაკბინა. ერთი მათგანი უკვე მიიცვალა, ერთიც სიკვდილზეა მიმდგარი და ხუთნი კი მორჩნენ და ჯერ-ჯერობით არაფერს არა გრძნობენ. აი საქმე როგორ ყოფილა: 24 ს თებერვალს ლატალის საზოგადოების სოფ. იფხის მწყემსებს ოთხ-ფეხი საქონელი ჰყოლიათ მინდვრად. მახლობელი ტყიდამ გამოვარდნილა მგელი, სცემია წინადამ ერთს მწყემსს პირ-და-პირ, სდომებია თავში ჩაჭიდებოდა პატარა მწყემს, მაგრამ უკანასკნელი პირ-აღმა წაქცეულა, მგელი ზევიდამ გადაჭდომია და მწყემსის თავის მაგიერ პირში ქუდი შერჩენია. პატარა მწყემს 12—13 წ. ქვემოდამ სანჯალი უხსნებია მგლისათვის, მგელმა ალბად ეს იგრძნო და თავისი მსხვერპლი მიატოვა თურმე. ამის შემდეგ იმავე დღეს და იმავე საზოგადოების მეორე სოფ. ენაშის მწყემსებს დასცემია მგელი, ჩაჭიდებია ყელში ერთს 10—11 წლის პატარა მწყემსს — სახელდობრ ბიაზრუკ წერედიანის ვაჟს, გადუგდია კისერზედ და გასდგომია გზას. წერედიანის პატარა ამხანაგებმა, ეს რომ დაინახეს, მორთეს ყვირილი და დაკბენილი წერედიანი დაატოვებინეს მგელს. ყელში ნაკბენი ღრმა აღმოჩნდა და რამდენსამე დღის შემდეგ წერედიანი საშინელის წვალებით მოკვდა. მეორე დღეს 25 თებერვალს ეგევე მგელი გამოჩნდა სხვა საზოგადოებაში იფარისში სოფ. წვირმის, საღამოს ჟამს მგელი შეპარულა ერთს მოსახლის, სახელდობრ გიგლემიანის გალავან შემოვლებულს ეზოში. ვახშმობის წინად გიგლემიანის რძალი — თამარი სახლიდამ გამოსულა. დადარაჯებული მგელი დასცემია ქალს სულ-ერთიანათ დაუგბენია: თავი, ყურები, პირის სახე, ასე რომ, როგორც მიამბო მნახველმა, საზარელი სანახავია თურმე ეს საბრალო თამარი გიგლემიანისაო; არაფერი იმედი მორჩენისა არ არის. 26 თებერვალს ეს საოცარი მგელი მესამე საზოგადოებაში — კალას გადასულა. აქ სოფ. იფარის მცხოვრების მექა მარგველანის მაღლს დასცემია ზედ სახლის კარებთან დილა-ალიონზე. ოჯახს ლოგინში გაუგია მაღლისა და მგლის ბრძოლა. საცვალის ამარა ამდგარა მექა მარგიელანი ლოგინიდამ და მაღლის საშველად გავარდნილა. მაღლი და მგელი ისეთ ნაირად ყოფილან ერთი-ერთმანერთზე გადახლართული, რომ მექას, რომელსაც ჰსურვებია მაღლის დახსნა მგლისაგან და სახლში შეთრევა, მაღლის მაგიერ წაუგლია შეცდომით ხელი მგლის ფეხისათვის, შეუთრევია სახლში და კარები ჩაუკეტნია. მგელი მაშინვე მივარდნია ცხვირ-პირში მექას, იმ ნაირად, რომ მექას ნიკაპი მგელს პირში ჩაუგდია და ორივე ყბები გარედამ კბილებით შეუხვრეტია. ამ საშიშარ სცენისთვის შეუხედავთ დანარჩენს ოჯახის წევრებს: მექას ძმას — ბიჭიას, უკანასკნელის შვილს — ბესოს, ბექასა და ბიჭიას ცოლებს — თინოსა და სანდუხს, სდომებიათ ბექას გამოხსნა მძვინვარე მგლის პირიდამ, მაგრამ ამ დროს მგელს ბექასთვის თავი დაუნებებია, დარევია სხვებს და არც ერთი უკბენად არ გადარჩენია: ზოგისთვის მკლავში უკბენია, ზოგისთვის ბეჭში. [illegible] დაკბენილები ისე დაბნეულან, რომ თავში არავის მოსვლია მგლის მოკვლა. შეუქნიათ ერთი ამბავი, ყვირილი, რომელიც მეზობლებს გაუგონიათ; მოცვივნულან უკანასკნელნი და როგორც კი სახლის კარი გაუღიათ, მგელი მაშინვე გავარდნილა სახლიდამ და მეზობლებს ხელში შერჩენიათ დაკბენილები. ამ ჟამად ნაკბენები ყველას მორჩენიათ და არც რამე ტკივილს ჰგრძნობენო, მაგრამ ამ უბედურებს, უეჭველია, შემდეგში მოელისთ სიკვდილი, რადგანაც ცოფი, როგორც ამტკიცებს გამოჩენილი მეცნიერი პასტერი, 40—60 დღის შემდეგ გამოაჩნდება დაკბენილსაო. შესანიშნავია ეს შემთხვევა იმითაც, რომ სვანეთში არავის ახსოვს, რომ ცოფიანი მგელი გაჩენილიყოს და კაცი დაეკბინოს.

სვანი

დამაკვირდი!

უმადურება ბიწია, ბუნების წინააღმდეგი: თვით პირუტყვთაც კი იციან მადლის გადახდა. (სეგური)

⁂

ბევრი უზრდელი და უმეცარი თავისთავს საოცარ გენიოსადა სთვლის. (ობერტი)

⁂

სამ ნაირია უმეცრება: ერთი — არა რაის ცოდნა, მეორე — ცუდად ცოდნა იმისი, რაც იცის; მესამე — ცოდნა იმისი, რაც არ უნდა იცოდეს. (დუკლო)

⁂

ათას წლამდის გულის-ნებისა პოვნა ერთ აუგად არა ჰღირს, ამით რომელ ჯანგი მისი უკუნისამდე დაეკვრის კაცსა. (სარგის თმოგველი)

⁂

ავი დიაცი ნადირთა
დაპყრობად უძნელესია;
თავისა დაუწირავი
გველთაგან უგველესია.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

უგბილი თვისსა სიცილზედ
ხმას დიდად აიმაღლებსა,
ბრძენი და მეცნიერენი
ღიმილსაც დაიმდაბლებსა.
(არჩილ მეფე)

საყნოსველად, ასუბუქებდნენ და ახანგრძლივებდნენ მცხოვრებთა სიცოცხლეს.

ამისთანა ალაგას აშენა გმირისეულმა ფიცრის ოთახები და გადაყავრა; გარედამ თეთრად გალესა და შიგნიდამ გააშპალიერებინა. თუმცა მან ცალკე გაიღო სახლის კარი, მაგრამ ბატონიანთ მაინც არ ანებებდა თავსა. მაინც კიდევ ყველა ბიჭები მის ხელში იყვნენ; საბლის წვერები მას ეპყრა ხელთა. ბატონიანთ ბიჭები ამისთვის ეფერებოდნენ მას და ემორჩილებოდნენ: მებაღეს მიჰქონდა მასთან სხვა-და-სხვა ნობათი ახლად-გაჩენილის ბაღეულობისა; მზარეულს სხვა-და-სხვა სანოვაგეულობა: საჭმლის მონარჩენი, ხორცი, მასალა; მოურავს პური და ღვინო; ამას გარდა თვით ბატონებიც არა სტოვებდნენ უნუგეშოდ, მუდამ პატივისცემაში ჰყვანდათ. სოფლელების თვალში გმირისეული სდუღდა და გადმოდიოდა. გაუვარდა მთელს ხეობაში სიმდიდრის ხმა; მისი ქალი კარგი საცოლო გახდა; ბევრს ეჭირა თვალი, მაგრამ გლეხთაგანი ვერავინ უბედავდა თხოვნასა. კარებში რომ გამოდგებოდა ხოლმე «სალომე კაციენა», სწორედ მთვარესავით გამოაშუქებდა. თავ-მომწონე სოფლის შელერებული ბიჭები მოჰყვებოდნენ ოხუნჯობას ერთმანერთზე, ექიმებოდნენ, თავს იწონებდნენ მის წინ, მაგრამ სალომეს გული სულ სხვისთვის სცემდა, სხვისთვის ჰკვნესოდა.

V

— ეგრე, ჩემო პარმენ, ეგრე! რასაც მოასწრო ბატონის სახლში, ნუ დაზოგავ; ჩვენი სიყმე, ჩვენი ჯანი და ღონე მაგათ სამსახურისათვის შეგვილევია. ვინ გაგვამტყუნებს; მინამ დრო გვაძლევს, ვხიწნოთ და ვხიწნოთ. აქნამდე სხვა იყო ეხლა ჩემთვის საკუთრად გამიღია ქოხის კარი. მეც ცხოვრება მინდა. ჩვენი დიდი ბატონები ბრმები არიან, ჩვენ გვენდობიან, ეხლა გვაქვს დრო, თორემ მერე გამოერევა ვინმე და პანღურის ცემით გამოგვაძევებენ სახლიდამა. შენ, შვილო, საცოლო ვაჟი-კაცი ხარ, თუ ცოტაც არის არა შეინახერა, რითი იცხოვრებ უმამულ-დედულო კაცი. ასე უქადაგებდა მუდამ და სწვრთნიდა პარმენა-მზარეულს ცბიერი გმირისეული.

პარმენა სიყრმიდგანვე ბატონის სახლში გაიზარდა; წერა-კითხვა ბატონიშვილებმა ასწავლეს; სკოლიდამ მოჰქონდათ მისთვის ადვილად გასაგები მოთხრობები; პარმენი მშიერივით დაეწაფა წიგნების კითხვას და ისრე შეეჩვია, რომ ველარ სძლებდა უიმათოდ, როცა კი საქმისაგან მოიცლიდა. როცა იგი მოიზარდა, მზარეულობა ჩააბარეს. ხარი ხართან ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. პარმენა თავ-მომწონე ბიჭი იყო; სუფთად გამოსვლა, კოპწიაობა უყვარდა. როცა კი ბატონებს აჭმევდა, სუფთად ჩაიცვამდა და ულვაშების წმაწვნით გასწევდა თავის ოსტატისას, გმირისეულისას. ამას იქ სხვა მიზეზი იწვევდა: ბატონის სახლში გმირისეულის ქალს დაუახლოვდა; ერთად შეიზარდნენ; ერთად კითხულობდნენ, ერთად ჩაჰსჯლიყინებდნენ წიგნებს; გული გულს გააცნეს და სული სულს; შეატკბეს იგინი და ურთიერთს შეათვისეს. ახლა გმირისეულისვე წყალობით სახლში დაიწყო სიარული. რომ დაემალნათ თვისი იდუმალი განზრახულება და ეშმაკს გმირისეულს არ გამოეძევებინა სახლიდამ, მიჯნურნი «კონჩინა»-ს შეექცეოდნენ და პარმენი განცებისად აგებდა ფულს, რომ იმით ხარბი გმირისეულის გული მოეგო და ცბიერი თვალები დაეყენებინა. გმირისეულს პირს სიამოვნების ღიმა გაუკრთებოდა ხოლმე; ტუჩები კმაყოფილებით შეუთრთოდნენ ხოლმე, როცა ქალი ფულს იგებდა; უხაროდა, რომ ჩაიგდო პარმენი და თვის ნალევაწ-ნაჰპირნახულევს სახლში ატოვებინებს. მაგრამ ჩაბღუჯა ხელი პარმენს და აღარ იშორებდა; ხანდის-ხან თავსაც არიდებდა, რომ თამაშობისთვის არ დაეშალნა. მაშინ კი თავს ანებებდნენ ქაღალდს და მიჯნურობის სიტკბოებას ეძლეოდნენ. მიეცათ თუ არა პირველშივე მარტოდ ყოფნის დრო, იმათ შეექმნათ შემდეგი ბაასი:

— პარმენ, შენ, გეტყობა, საყვარელი გყავს, უთხრა სალომემ.

— რაზე მატყობ, უპასუხა პარმენმა და ჩაეცეცდა თვალებში, რომ ამოეკითხნა ლურჯის თვალების საიდუმლოება.

— ნეკზე ფრჩხილი რად გიყენია!

— მაშ შენ რაღად გიყენია?

— მეც მყავს გულის სატრფიალო... მე შენ საყვარელს ვიცნობ...

— ვინ არის? წაართვა პარმენმა სიტყვა, აჩქარებით წამოიწია სკამიდამ; დუმილი ჩამოვარდა. პარმენს ეგონა, რომ სალომე თავის თავს დაასახელებდა მის სატრფოდ; მაგრამ ქალმა უსხლიეუდა, რითაც მის გულს ნაღვერდალი დააყარა და დაუთუთქა,

— ბატონიანთ მოურავის ქალი, სთქვა მოწყენით სალომემ და ქვეშ-ქვეშ გამოსცქეროდა პარმენს.

პარმენმა ხელები ჩამოყარა და მკვდარივით დაეშვა სკამზედ.

— აბა ახლო, პარმენ, შენ გამოიცანი ჩემი საყვარელი ვინ არის? უთხრა კვლავ ქალმა.

პარმენს ენა დაება და ძლივს წამოილუღლუღა:

— მე მეგონა თუ... ეჰ, ენა აღარ მემორჩილება, თვალთ მიბნელდება... შენ სატრფოდ მე ჩემი თავი მიმაჩნია... ენამ მოჯობება დაუწყო, გაბედულობა მოემატა; სისხლმა ჩვეულებრივი ტრიალი შექმნა... მე დიდი ხანია, სალომე, ჩემად მეგულები; მე ეს მაგრძნობინა შენმა გულმა; მე შენს გულში, შენს თვალებში ვკითხულობდი ამას, რომ ჩემი ხარ; თუ არ შემოგვარდნიყო ჩემზე გული, ასე არ დამიახლოვდებოდი. მე ჩემი გული ასე მეუბნება და შენი არ ვიცი.

* * *

ჭკუა პური სახითა,
მჭამელთა შესარგებელი,
ცოდნა და საქმის ხმარება—
მარილი დასაწებელი.
(დავით გურამიშვილი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

კაცის ბუნება გაუმაძღარია. რაც კაცს უფრო მეტი აქვს, იმდენად უფრო მეტად ეხსნება მადა და მეტსა თხოულობს. ვინ არ იცის, რომ ნავთის მწარმოებელნი და მეტადრე იმისთანა მწარმოებელი, როგორიც ნობელია, რომელიც მილიონებს ატრიალებს ნავთის მეოხებით, აუარებელს სიმდიდრეს ჰშოობენ. საკვირველი ეს არის, რომ ნობელისთანა დიდნი მწარმოებელნი მაინც სტირიან და სჩივიან, ვზარალობთ და სრულიადაც დავიღუპებითო, თუ მთავრობა არ მოგვეშველება და ნავთს ბაჟს არ დაადებსო. რადგანაც ბაჟსა წვრილნი მწარმოებელნი ვერ გაუძლებენ და ბურთი და მოედანი დიდებს დარჩებათ. გაზეთი «Московскія Вѣдомости» ამაზედ სამართლიანად ამბობს:

> ნავთის მწარმოებელნი სწორედ სვავებათ გარდაიქცნენო და სვავიც მხოლოდ იმის სვავიაო, რომ რაც უნდა ბევრი აჭამოთ, მაინც ვერ გააძღობთო ხმა გავრცელდა, ვითომ ფინანსთა მინისტრიც დათანხმებულიყოს, ნავთს ბაჟი დაედოსო. ჩვენ ეს არა გვჯერა, მინისტრი ამას ვერ იზამს: ეს მართებლობის და თვით იმპერატორის სურვილის წინაალმდეგი იქნება. იმპერატორმა ყველასთვის ცხადად წარმოსთქვა, რომ მთავრობის უმთავრესი ზრუნვა ის არის, რომ ყოველ გვარის საშუალებით შეუმსუბუქოს მდაბიო ხალხს მისი გაჭირვება. ეხლა ვის დააწვება ეს ნავთის ბაჟი, ვის უფრო შეაწუხებს?

ცხადია გაჭირვებულ, გაღატაკებულ მდაბიო ხალხის ამ გვარი გამოსარჩლება გაზეთის მხრივ ყოვლად საქებურია. მხოლოდ არ გვესმის, რატომ სხვა ამ გვარ შემთხვევაშიაც გაზეთი ასეთ გულ მტკივნეულობას არ იჩენს ხოლმე. ვინ იყო პირველი მომხრე «კავკასიის ტრანზიტის» მოსპობისა? «Московскія Вѣдомости»-ები არ არიან ხოლმე პირველი მოსარჩლე რუსეთის ფაბრიკანტების და მექარხნებისა, როდესაც ბაჟზე ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი?

* * *

ბ-ნმა სოსლანმა სამი «აბლოგატური» ხრიკი იხმარა. ჩვენ ვაჩვენეთ სამი ადგილი, რომელიც «ვაჟა-ფშაველს» ჩამოართვა და თავისის სახელით გაასაღა. ერთზედ სთქვა ბ-ნმა სოსლანმა: ეს გეოგრაფიას ეკუთვნის და მე ხომ არ შევცვლიდიო, მეორეზედ—ეს ისტორიას ეკუთვნის და მესამეზე—ეგ კიდევ ლეგენდაა და ლეგენდა როგორ შეიცვლებოდა ჩემგანაო. ნეტა ამ ქვემოდ მოყვანილს სიტყვა-სიტყვით სხვის წერილიდამ ამოღებულზე და თავისად დაჩემებულზედ რაღას იტყვის? ბევრნი გვწერენ, რომ ბ-ნი დავით სოსლანი იმათ ღირს კიო, რომ ამდენს ლაპარაკობთო? მართალია, თითონ დ. სოსლანი არა ღირს, მაგრამ მისგან ჩადენილი საქმე კი იმოდენად წრეს გასულია, რომ ხმა-ამოუღებლივ მაგ საქმის დატოვება ჩვენ ურიგობად მიგვაჩნია. აბა, ბ-ნო სოსლანო, ამას რაღა «აბლოგატურ» ხრიკს მოუპოვებთ:

1) ფშაველი არის გაშლილის, მუდამ სიამაყის და მხიარულების გამომხატველის სახისა, ახოვანი, გულ-კეთილი, მომთმენი და, როგორც ყველა მთის კაცი, სტუმრის მოყვარე. ვისაც უცნობია ფშავლებში, ის მაშინვე იცნობს ფშაველს სიარულზე, თუნდ ერთის ვერსტის სიშორიდამ. როდესაც ფშაველი დადის, გეგონება კვერსა სცემსო. ფშაველს უყვარს ფართოდ ცხოვრება, არის დაულალავი მუშა, მაგრამ უზომოდ ჰსცხოვრობს: თავის შემოსავალ-გასავლის ანგარიში არ იცის. მანამ აქვს უხვად ხარჯავს და, როდესაც გაუთავდება, ვალით გაიმართავს ხელს.	1) Ростомъ немного выше средняго, пшавецъ сложенъ очень хорошо. Кто хоть немного знакомъ съ пшавцевъ, тотъ узнаетъ его по походкѣ за версту. Пшавецъ ходитъ твердой, величавой поступью, выражающей рѣшимость и отвагу. Его открытое, съ отпечаткомъ вѣчнаго веселья, лицо выражаетъ добродушіе. Пшавецъ хладнокровенъ и, какъ всякій горецъ, въ высшей степени гостепріименъ: Правда, онъ неутомимый работникъ, но работаетъ онъ не постоянно, а такъ сказать, спорадически, понуждаемый грозной перспективой голоданія. Вообще-же, онъ предпочитаетъ праздную, разгульную жизнь,—жизнь не по средствамъ, а объ экономіи понятія не имѣетъ.

მართალს ბძანებს ბ-ნი სოსლანი: აქ საკუთარი პლანი ჰქონია, სახელდობრ, სხვისაგან დაჩემებული თავი ბოლოში მოუქცევია და ბოლო თავში, რომ უფრო კარგად გაესაღებინა სხვის მიერ ნათქვამი თავის სახელით.

2) ხევის ბერი გამოსთხოვს მოწყალებას ხატს ბავშვისთვის, დალოცავს და დაჰკლავს საკლავს. ხევის ბერი არის ერთსა და იმავე დროს მემკვიდრე მოგვისა და მღვდლისა, ხევის ბერი წინანდელს დროში არა ყოფილა მარტო სამღვთო წესების ამასრულებელი, არამედ სჭერია ხელში პოლიტიკური და იურიდიული უფლებაცა. იგი ყოფილა მშვიდობიანობის დროს მსაჯული და ომიანობაში—ჯარის წინამძღვარი ხელში დროშით. ძველად ხევის ბერები კიდეც აზიარებდნენ და დამარხავდნენ ხოლმე მკვდრებს.	2) Служителемъ алтаря полуязыческихъ божковъ у пшавца является такъ-называемый «хевисъ-бери» (въ буквальномъ переводѣ значитъ—почетный старецъ ущелья), лицо очень уважаемое вообще у грузино-горцевъ. Встарину компетенція «хевисъ-бери» была очень обширна: въ его рукахъ сосредоточивалась духовная и свѣтская власть. Въ военное время онъ предводительствовалъ, въ мирное время творилъ судъ и расправу, а какъ духовное лицо, онъ отправлялъ всякаго рода религіозные обряды: онъ вѣнчалъ, крестилъ, погребалъ и причащалъ народъ.
3) ფშაველი ორსულს დედა-კაცს არამც თუ არ აკეთებინებს საქმეს, საჭიროდაც მიაჩნია ფეხ-მძიმე დედა-კაცის მუშაობა, რომ ყრმა დიდი არ გაიზარდოს და შობა გაუადვილდეს. ამიტომ ხშირად მოხდება რომ, როდესაც დედა-კაცი არის საქონელში, იქ ჰშობავს და ერთის მაგივრად ორი მოუვა სახლში «ჯალაფთ». თუ ბალღმა ყვირილი არ დაიწყო, ვერც-კი შეატყობთ, თუ დედა-კაცს შვილი ჰყოლია. სიკვდილი დედა-კაცსა მშობიარობის დროს იშვიათი შემთხვევაა.	3) Пшавцы думаютъ, что отъ лежанія и, вообще, отъ недостаточнаго движенія плодъ растетъ въ утробѣ матери несоразмѣрно и затрудняетъ роды, и потому, исходя изъ подобныхъ соображеній, беременную женщину заставляютъ сильно работать до послѣднихъ дней беременности. До чего легко рожаетъ пшавка,—можно судить по тому, напримѣръ, что случается очень часто, что она утромъ выгнала стадо на пастбище и тамъ почувствовала приближеніе родовъ; но пшавку такая неожиданность ни чуть не смутитъ: она сама «принимаетъ» и вечеромъ въ подолѣ своего «джуба» приноситъ домой собственный приплодъ. Вообще, примѣра не бываетъ, чтобы пшавка умирала отъ родовъ.

უცხოეთი

ინგლისი. რაკი პარნელის დასს იმედი მიეცა, რომ ახლა-კი გაუმარჯვებთო, საუკეთესო მისი წარმომადგენელნი ცდილობენ დაამშვიდონ ირლანდია. ეს წარმომადგენელნი დამოგზაურობენ «ზურმუხტის კუნძულზე» და მჭევრმეტყველებით უქადაგებენ ხალხს, რომ დამშვიდდნენ და თავი დაანებონ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებას მიწად-მფლობელთა მიმართ მამულების თაობაზე. მაგრამ მათ ქადაგებას შესაფერი ნაყოფი ვერ მოაქვს... ირლანდიის მამულის შვილთ სულითა და გულით ჰსურთ მშვიდობიანობა დაამყარონ კუნძულზე, რადგანაც კარგადა ჰგრძნობენ, რომ ეს საუკეთესო საშუალება იქნება გლადსტონის გამარჯვებისა და მისის პროექტების განხორციელებისათვისაო. «აი, შეხედეთო, იტყვიან მაშინ ისინიო»,—მშვიდობაც დამყარდა, წესიერებაც, პიროვნებაც და საკუთრებაც უზრუნველი შეიქმნა მაშინვე, როგორც კი ბრიტანიის მთავრობამ საჯაროდ აღუთქვა ერს, რომ თავისუფლებას მოანიჭებო. მაგრამ ყველა მათი ცდა ჯერ-ჯერობით ამაოაო.

ადგილ-მამულის გამო ძალ-მომრეობა წინანდებურად არა სუსტდება. 80 მილიონ მანათიდგან, რომელიც პირობისამებრ ერგებათ ირლანდიის მემამულეთა ღალად, ძლივს ნახევარს იღებენ თურმე მიწად-მოქმედთაგან. ერთის წლის განმავლობაში ამის გამო მემამულეებმა 122,784 საჩივარი შეიტანეს სასამართლოებშიო, იმის გარდა, რომ 84,355 საქმე მორიგებით გათავდაო. ზოგს კიდეც შეუძლიან, რომ ღალა გადაიხადოს, მაგრამ არ უნდაო. ერთს ფერმერს უნდა მიეცა მამულის პატრონისთვის 45 მან. ღალა, მაგრამ არც ფული მისცა და აურ-ზაურზედაც დაუდგაო. პოლიციამ შეიპყრო ეს ფერმერი და როცა გაუჩხრიკა ჯიბეები 2,200 მან. კი უპოვნა ქისაშიო.

ირლანდიის ორატორს რუსსელს უთქვამს, რომ 5 მილიონმა ირლანდიელმა ამ სამის წლის განმავლობაში 300 მილიონის არაყი დაჰლიაო და თუ შეძლება არა აქვთ, ესეთი ლოთობა საიდამ მოხერხდებაო, გაკვირვებით ამბობს რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი...

საპარლამენტო კამათობის დროს ირლანდიის მომხრეს ჯონ მორლეის უთქვამს, რომ მარტო თებერვალში 899 დანაშაულობა ჩაიდინა ხალხმაო. 899 დანაშაულობა შეიტყო მთავრობამ და სასამართლომ და ვინ იცის, რამდენი ისე მოხდა, რომ ვერავინ ვერა გაიგო-რაო....

დეპეშა

22 მარტს

ვერნი. კამგარიდამ მოვიდა ამბავი, რომ უფროსი შვილი ბუხარის გარდაცვალებულ ემირისა კაუტისტიურიახი, ჩრდილო ავღანისტანს მოვიდა და განზრახვა აქვს ბუხარის ტახტი ხელში ჩაიგდოსო.

ბელგრადი. რისტიჩმა დიდებულთა კრებას წაუკითხა სამინისტროს პროგრამმა. ამბობენ, ვითომ რისტიჩმა სთქვა, რომ ყველა სახელმწიფოს

— მართალი ხარ, სწორედ ეგრე გრძნობს ჩემი გულიც. მაგრამ დედა-ჩემსა სურს, აზნაურს მიმცეს, ან სამღვდელოს ვისმესა, ან ვაჭარს კაცსა. ეს ჩვენი საიდუმლო რო გავაცხადო, დედა-ჩემი უცილოდ დამახრჩობს.

— მაშ დედა-შენი გეშლის ბედნიერებას? მაშ საქმეს არა მოევლებარა, სთქვა გულ-ამოსკვნით პარმენმა.

— რატომაც არ მოევლება? მე სხვას არავის გავყვები; მე შენი ვარ; შენ გიპყრია ჩემი გული და შენს მეტს იქ სხვას არავის არა აქვს სადგური და ვერც არავინ დაისადგურებს. მამე ხელი...

პარმენი წამოდგა სკამიდამ, დაბარბაცდა და იქვე ტახტზე ჩაჯდა, მუთაქას მიეყრდნო; შერცხვა თავისი სისუსტისა. ძალა-უნებურად შეიმაგრა თავი, მაგრამ დიდი ღელვა სიხარულისა მას სულს უკმენდდა. თუმცა ღელვა შესდგა, მაგრამ ფერი შეუკრთო და თვისი ნიშანი დაასო. სანაცვლოდ სალომეს ლაქლაქი გაუდიოდა; იგი ღვიოდა. ღელვამ ერთი გააელფერიანა; მეორე გააუფერულა, დასტეტკა. შემოსვლისას გამოცდილმა გმირისეულმა ეს ღელვა შეამჩნია ახალ-გაზდებს. ხან ერთს შეაცქერდა, ხან მეორეს: მას გულში ეჭვი დაებადა; ჭიამ გულზე გადურბინა, მაგრამ მალე კი გადაუარა. მიჯნურებმა თავჩაღუნული დაუწყეს ქალალდს თამაშობა, სუნთქვას იკავებდნენ, ღელვას მალავდნენ, რომ ცბიერს გმირისეულს არ შეეტყო და მით არ მოესპო მათი ერთმანერთთან სიარული. გმირისეულს მაინც ვერ მოუთმინა გულმა, რომ არ ეკითხნა:

— ქა, რას გადაფითრებულხარ, პარმენ?

— წაგებას არის, დედა, წაგებასა და აღარ იცის, რა ჰქნას.

პარმენმა აიხედა, იმა, რომ გაჭირვებიდამ დაიხსნა.

— შენ სიხარული როგორ გეტყობა სახეზე, სთქვა მან.

— ჰო, სიხარულით აწითლებულა და გული ასდის და დასდის, წაილაპარაკა გმირისეულმა და დარწმუნდა, რომ მისი ეჭვი არა მართლდება.

გაიყარნენ კმაყოფილნი ამ პირველის დღით, პირველის შემთხვევით: გმირისეული კმაყოფილი მითი, რომ პარმენის სარჩო-საბადებელი მის სახლში შემოიტანება; პარმენი კმაყოფილი, გახარებული მითი, რომ სალომე, ეს ლამაზი, ფირუზა სალომე, დღეს თუ ხვალ, იმისი შეიქმნება; რომ გმირისეულის სარჩო-საბადებელი მის ხელში გადავა. მხოლოდ ეს უნაკლულებდა გულს, რომ ბაიყუშს, წუთი-სოფლისაგან გამოცვეთილს გმირისეულს ვინ დაიყაბულებდა. ეს კი სწამდა, რომ სალომეს გული ყაბულია. წარმოიდგინა, რომ თვითონ დასახლ-კარიანდება; რამე საქმეს მოეკიდება; საკუთარის ცხოვრებით იცხოვრებს და სხვის ხელის შემაყურებლობას ბოლო მოეღება.

— შვილო სალომე! უთხრა ქალს გმირისეულმა, როცა პარმენა წავიდა. ხვალ რიგიანი სადილი მოამზადე; პარმენი ადრიანად გამოიტანს ყველა მასალას... მე ფორფოტი აღარ შემიძლიან; სადილად ბატონიაანთ მოურავი იქნება... ცოტა რამ საფერავო მაქვს იმასთანა.

— სხვა ვინ გეყოლება, ჩაეკითხა ქალი ისეთის კილოთი, რომ აგრძნობინა, პარმენაც იქნება, თუ არაო.

— არავინა, შვილო, საიდუმლო საქმე მაქვს.

— პარმენა?

— პარმენა კი არა, მიკინტრუშა არ გინდა! მოუტრიალდა ვეფხვივით წელში წახრილი გმირისეული, პირი დაამღინჯა, ხელები გაფარჩხა: პარმენა ვისი მასხარაა, რომ წამ-და-უწუმ თავს წამოვიტრიუქო და ჩემი საიდუმლოები გავანდოვო.

— მაშინ ხომ კარგი პარმენაა ხოლმე, როცა გიზიდავს...

— ხმა გაიწყვიტე, შე აშარო, მაგას შენ არავინა გკითხავს, გამხებული უთხრა დედამ, თვალები სისხლით დაევსო და რამდენიმე წამი მხეცივით შესცქეროდა: თუ რასმეს ჩავდივარ, თუ რამე მიქმნია, სულ შენ გამო, სულ შენის სარგებლობისათვის. შენთვის არ მინდა, რაც მაქვს, მა რა ეშმაკებისათვის-ღა მინდა... პარმენა ბიჭია, ის რა ჩემი ტოლია, რომ სადილზე მოურავთან სუფრაზე წამოვისვა.

— პარმენა ბიჭია!? ჩვენ კი, დედა, ბატონები ვართ, არა?.. არა, მოურავი რაღა ჩინოვნიკი გგონია: ერთი გლეხი ისიც არის და პარმენაცა.

— სუ მეთქი, შე წყეულის შვილო, სუ! მოურავი რაც უნდა იყოს, სხვაა. აი ეხლა, თუ გინდ შენა: შენ სულ სხვა სისხლი გიდის ძარღვებში; შენ სხვა ხარ და პარმენა, თუ მოურავი კი სხვა.

— ეჰ, დედა-ჩემო! სოფლის ბიჭები მაინც არ წამოსძახებენ პარმენას «ჰაი შე ნაბუშაროვო». ზიარებას გეფიცები, დედა-ჩემო, ზიარებას, სირცხვილით თვალთ დამიბნელდება ხოლმე, როცა სოფელში ხალხის ჯგუფას წინ გავუვლი ხოლმე.

— ნაბუშარი რად იქნები, შვილო! მამა თუ თავს არ გადგია, რა ვუყოთ, სთქვა ამ ამბით დარეტიანებულმა გმირისეულმა, რომელსაც ცივმა ოფლმა გადაჰკრა და ტვინი დაუბნია.

— კარგია, დედა-ჩემო, გაათავე. ყველაფერი კარგად ვიცი.

გმირისეულს ენა ჩაუწყდა; ვერ წარმოიდგენდა, თუ ქალი ოდესმეც არის გაიგებდა თვის ნამდვილს ვინაობას; იგი ცოტა არ იყოს მოჰკლა ამ გარემოებამ, გაჩუმდა და როდესაც სირცხვილის ალი ჩაუქრა გულში, თავის განზრახვას ისევ მტკიცედ დაადგა, შეუდგა თავის აზრის განხორციელების გზას და ამ გზიდამ მას თვით სატანაც ვერ გადმოიყვანდა.

ს. მგალობლიშვილი

(შემდეგი იქნება)

მეგობრულად მოვექცევი და უფრო მომეტებულად-კი ავსტრო-ვენგრიასა, რადგანაც სერბია ავსტრი-ვენგრიასაგან ძალიან დავალებულიაო. მეგობრად ყოფნა ავსტრი-ვენგრიასთან საჭიროა, იმიტომ-რომ ამას დიდი საპოლიტიკო მიზეზები აქვსო.

ლონდონი. აქ მოვიდა ამბავი, რომ რუსეთის ესკადრა სირიდამ სუდის ნავთ-სადგურში დაბრუნდაო.

«რეიტერის» სააგენტოს სიტყვით, ალექსანდრე მთავარს დიდ სახელმწიფოებისათვის პასუხად შეუთვლია, რომ ჩემი სახელი და მგომარეობა მარტო ევროპაის ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედაც, რამდენად პატივცემული ვიქნები გაერთიანებულ ბოლგართაგანაო. ამათ კი უნდათ, რომ მე მათი ხელმწიფე ვიყოვო.

სოფიაში ჰფიქრობენ, რომ რისტიჩის კაბინეტს მითომ ის აზრი აქვსო, რომ სერბია, ბოლგარია და საბერძნეთი ერთმანერთს დაუახლოვდესო.

სტამბოლი. მადბან-ეფენდი დღეს საღამოს მიდის სოფიასაო.

კონფერენცია ორშაბათს შეიკრიბებაო.

პეტერბურგი. «*Journal de St.-Petersbourg*»-ი ამბობს, რომ სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ისეთი არა მომხდარა-რაო, რომ საბუთი ჰქონოდათ ლონდონიდამ ისეთი დასაფიქრებელი ამბავი გამოეგზავნათ, ვითომ ეს ორი სახელმწიფო საომრად ემზადებაო.

ბელგრადი. რისტიჩმა სამინისტრო სრულიად ვერ შეადგინა და კაროლმა კვლავ გარაშანინს მიჰმართაო.

პორტსმუტი. ოთხს ნაღმია ნავს ამზადებენ, რომ ხმელთა-შუა ზღვაში გაჰგზავნონ ბრიტანიის ესკადრის გასამლიერებლადაო.

პარიჟი. ერთად-ერთი სმოლენსკელი რუსი, რომელიც საქალაქო სამკურნალოში დარჩა, გარდაიცვალაო გუშინ ცოფისაგანაო.

24 მარტს

სტამბოლი. ბოლგარიის საქმეთა გამო კონფერენცია მოწოდებულია. კონფერენციას მარტო ის ექმნება საქმედ, რომ პროტოკოლს ხელს მოაწერს. სხვა დესპანები საბჭოდ შეიყრებიან.

ფილიპოპოლი. მანისტრათ ყოფილს ბრემს (?) დასცემია რვა კაცი და უცემიათ. ამ ამბავს პოლიტიკურს მიზეზს აბრალებენ.

პარიჟი. დეკაზვილში დღეს დაუტუსაღებიათ ჟანდარმებს გაზეთის «ენტრა სიჟანის» რედაქტორები დურვერსი და რომი რადგანაც აქეზებდნენ თურმე მუშა-ხალხს პირი შეჰკრან და უწესოება მოახდინონ.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

25 დღე სამშაბათი. ხარება ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა მარიამისა კათ. ხარება. მუსულ. მეორე დღე თთვისა რეჯაბ 1303 წ. ჰიჯრისა.

შობა მ. უმაღ. ქსენია ალექსანდროვნასი 1875 წ. მობძანდა ტფილისს გრაფი მიხეილ სვიმონის-ძე ვარანცოვი 1845 წ. ძეგლი აუგეს თავადს მიხეილ სვიმონის ძეს ვარანცოვს 1867 წ. მეფე ვახტანგს რომ პეტერბურგს ქართველები გაჰყვნენ, იმათგან შესდგა გუსარების როტა და ისეთივე ჯამაგირი დაენიშნათ, როგორიც დრაგუნებს ჰქონდათ. ვინც ამათგანი თავადი იყო, ებოძა 30 კომლი გლეხი, მათ შვილებს 5 კომლი, ვინც აზნაური იყო 10 კომლი. ამასთანავე მიწები დაურიგდათ უკრაინაში 1738 წ.

მთვარე სამის დღისაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—25. ტფილისში მზე ამოდის 5—34. ჩადის 6—32. მთვარე ამოდის 6—57; ჩადის 8—8 ღ.

26 დღე ოთხშაბათი. კრება გაბრიელ მთავარ-ანგელოზისა. კათ. ლიუდგერისა; მუსულ. რაჰვაიბის ღამე. მიცვალების დღე ალი-შაგისი (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—8. ტფილისში მზე ამოდის 5—33; ჩადის 6—33. მთვარე ამოდის 7—35, ჩადის 9—11 ღ.

27 დღე ხუთშაბათი. წმ. იოანე წინასწარ-მხედველისა, კათ. რუპერტისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—51. ტფილისში მზე ამოდის 5—31; ჩადის 6—34. მთვარე ამოდის 8—14; ჩადის 10—10 ღ.

28 დღე პარასკევი. ღირსისა ილარიონისა, სომეხთა ნახატოქ. კათ. სიქსტისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—34. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—35. მთვარე ამოდის 9—3; ჩადის 11—12 ღ.

29 დღე შაბათი. ღირსისა მარკოზ ეპისკოპოსის. კირილე დიაკონისა, სომ. წმ. მამისა სომეხთა გრიგოლ განმანათლებელისა ხაროში ჩაშვება. კათ. ევსტაზისი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—18. ტფილისში მზე ამოდის 5—28; ჩადის 6—36. მთვარე ამოდის 9—55; ჩადის 12 შღ.

30 დღე კვირა. ღირსისა იოანესი, ზოსიმე ეპისკ. კათ. *mater dolorosa*. პირველი ხარისხი მთვარისა საღამოს 11 საათ. 44 წ. იწყობა ტფილისში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—2. ტფილისში მზე ამოდის 5—26; ჩადის 6—37, მთვარე ამოდის 10—52; ჩადის 12—8 ნღ.

31 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. იპატი ეპისკ. ღირსისა აპოლონისა, წმ. იონასი. კათ. ბალბინისა, კორნელისა და ვენიამინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—46. ტფილისში მზე ამოდის 5—25; ჩადის 6—38. მთვარე ამოდის 12—1; ჩადის 1—1 ნღ.

* * *

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	« 3
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსდა კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
**რუსულ ქართული
ლექსიკონი**
ხელ-ახლად გადაკეთებული ახალს ლექსიკონებზედ და გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან.
ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.
(10—1)

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ბ. ალ. მირიანაშვილისაგან შედგენილი:

პატარა მოამბე, საყმაწ. წიგნი	› 10 კ.
საკლასო დედანი, ფურც. .	› 10 ›
იგივე, კარდონზედ გაკრული.	» 60 ›
მოძრავი ანბანი, ყუთში. .	1 მ. ›
საოჯახო დედანი, ფურც. .	› 3 ›
იგივე, კარდონზე გაკრული.	› 7 ›
ანბანი კუბიკებზედ, ოჯახში სასმარებელი.	1 მ. ›

(5—3)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დაიბეჭდა **ქილილა და დამანა** მეფის ვახტანგ VI-სა თ. გრიგოლ გურიელის გამოცემა ილია ჭყონიას რედაქციით. ფასი სამი მანეთი. საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23 ისყიდება ტფილისის წიგნთა მაღაზიებში: გრიქუროვისაში, შავერდოვისაში, ჩარკვიანისასში და ცენტრალნი მაღაზიაში. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას წიგნზედ დაეთმობა ათი შაური.

10—5

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია"

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	10 მ. — კ.	6 თთვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 ,	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმაელობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს. პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 24 марта, 1886 г.
ქ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**